



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

24 თებერვალი 2025



N 21/1381

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას
მის: მესტია, სეტის მოედანი №1
ელ. ფოსტა: gamgeobamestia@yahoo.com

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი №666 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, დაბა მესტიაში მდ. მესტიაჭალას ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებას და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით, საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის (სექცია 1) კონტური კვეთს შენობა-ნაგებობებს, ხოლო სკრინინგის განცხადების ტექსტურ ნაწილში (გვ. 58) წარმოდგენილი გეგმა, სადაც გადაზომილია ნაპირსამაგრი ნაგებობების (სექცია 1) განთავსების ადგილიდან უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილი, არ შეესაბამება shp ფაილებში ასახული ნაპირსამაგრი ნაგებობის განთავსების ადგილს. გარდა ამისა, ვინაიდან, წარმოდგენილი shp ფაილები ემთხვევა საპროექტო არეალში არსებულ ხიდებს, დასაზუსტებელია როგორ მოხდება აღნიშნულ მონაკვეთებში ნაპირსამაგრი ნაგებობების განთავსება ხიდებთან მიმართებით. ამასთან, დოკუმენტის ტექსტურ ნაწილში (გვ. 15) მითითებულია, რომ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია დინების სიჩქარის შემამცირებელი 3 ჯგუხირის მოწყობა, ხოლო shp ფაილებში ასახულია მხოლოდ 2 ჯგუხირი. გარდა ზემოაღნიშნულისა, სკრინინგის განცხადებაში მოცემული ნაპირსამაგრი ნაგებობების განთავსების საწყისი და ბოლო წერტილების GPS კოორდინატები არ ემთხვევა shp ფაილებით წარმოდგენილი ნაპირსამაგრი ნაგებობების განთავსების საწყის და ბოლო წერტილებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესწორებული shp ფაილები, სადაც ასახული იქნება დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობების განთავსების დაზუსტებული კონტურები, ხოლო სკრინინგის განცხადებაში მოცემული ნაპირსამაგრი ნაგებობების განთავსების საწყისი და ბოლო წერტილების GPS კოორდინატები შესაბამისობაში უნდა იყოს shp ფაილებით წარმოდგენილი ნაპირსამაგრი ნაგებობების განთავსების საწყის და ბოლო წერტილებთან;
- საკვლევ უბანზე საანგარიშო ხარჯის მნიშვნელობა უნდა გადამოწმდეს შესაბამისი რეგიონული ფორმულით. საანგარიშოდ მიიღება მეტი მნიშვნელობის სიდიდე;
- ჰიდროლოგიურ ანგარიშში ყველა ფორმულაში მოცემული უნდა იყოს მასში შემავალი სიდიდეების შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობები;

- საანგარიშო დატბორვის დონეების მოცემულ ცხრილებში დონეები წარმოდგენილი უნდა იყოს აბსოლუტურ ნიშნულებში. ცხრილებში მოცემული უნდა იყოს შესაბამისი კვთების ჰიდრაულიკური მახასიათებლები;
- საპროექტო ნაგებობები დატანილი უნდა იყოს შესაბამის ტოპო-გეგმებზე. მაგალითად, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ვერ დგინდება დეზების და სიჩქარის შემამცირებელი ჯებირების განლაგება გეგმაში;
- აღსანიშნავია, რომ დინების სიჩქარის შემამცირებელი ჯებირები, როგორც წესი, იგება კალაპოტის მთელ სიგანეზე გარკვეული ბიჯით. მათ ექსპლუატაციაში განსაზღვრული უნდა იყოს ნაგებობასთან დაგროვილი მასალის პერიოდული ამოწმება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია შეიცვალოს ფსკერის ლოკალური დახრილობა, რაც იმოქმედებს ჰიდროლოგიურ რეჟიმზე. ამ ტიპის ნაგებობის გამოყენება, დაფუძნებული უნდა იყოს შესაბამის კვლევებზე ან მოდელირების შედეგებზე;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული დეზების განლაგების სქემა, ამდენად, რთულია შეფასდეს მათი გავლენა ჰიდროლოგიურ და მორფოდინამიკურ რეჟიმებზე. კალაპოტში, სადაც მყარი ნატანის ჩამონადენი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის ფორმირებაში (კუნძულების და ნახევარკუნძულების შექმნა, მდინარის ცოცხალი კალაპოტის დატოტვა და მათი მიმართულებების შეცვლა) დეზების სისტემის მუშაობა ხშირად უპროგნოზოა, ამიტომ, მიზანშეწონილია დეზებს შორის დაგეგმილი ქვანაყარი ნაგებობა მოეწყოს სრულფასოვანი პროფილით, ქვების ორმაგი წყობით;
- დეზებისა და სიჩქარის შემამცირებელი ჯებირების გაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კალაპოტის ადგილობრივი წარეცხვის სიღრმეები;
- საპროექტო ნაგებობების განივი ჭრილები მოცემული უნდა იყოს პიკეტაჟის შესაბამისად, მდინარის საანგარიშო დატბორვის დონის, კალაპოტის წარეცხვის სიღრმის, მდინარის დონისა და საპროექტო ნაგებობის აბსოლუტური ნიშნულების ჩვენებით;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, ასევე აღნიშნული ზემოქმედების შემარბილებელი ან/და თავიდან აცილების ღონისძიებების შესახებ;
- როგორც დოკუმენტში წარმოდგენილი ფოტომასალიდან ირკვევა დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში შესაძლოა მოხდეს ხე-მცენარეების გარემოდან ამოღება. ასეთის შემთხვევაში, საჭიროა სახეობების მითითება;
- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, თუმცა, არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთება;
- მიზანშეწონილია დოკუმენტში გამოყენებული იყოს საერთაშორისოდ აღიარებული, ოფიციალური სამეცნიერო სახელები. მაგალითად, გვ. 45-ზე მწვანე გომბემო (*Bufo viridis*) - ლათინური სახელწოდება არის სინონიმი, დღეს ოფიციალურ სამეცნიერო სახელწოდებას წარმოადგენს - *Bufo viridis*.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/1381-21-2-202502240959>

